



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 9

2017 წლის 21 თებერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის მოხელეთა 2017 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის N319 დადგენილებით დამტკიცებული - „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებები და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპები და წესის“ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის მოხელეთა 2017 წლის სასწავლო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 25 დეკემბრის N115 განკარგულება „დუშეთის მუნიციპალიტეტის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის გეგმის დამტკიცების თაობაზე“.
3. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გივი ზურაბაშვილი

N	სწავლების სფერო	მოხელეთა რაოდენობა	სწავლების ფორმა	სწავლების პერიოდი/კვარტალი	შესასწავლი საკითხები აღნიშნულ სწავლების სფეროში	დაფინანსება ბიუჯეტიდან (ლარი)	დაფინანსება სხვა წყაროდან
1	ადმინისტრაციული წარმოება	3	მოკლევადიანი	I კვარტალი	1.ელექტრონული საქმის წარმოება.2. ანგარიშების შედგენა. 3. დოკუმენტბრუნვა.	984	
2	სახელმწიფო შესყიდვები	3	მოკლევადიანი	I კვარტალი	1.კონკურსის ჩატარების მეთოდოლოგია. წლიური გეგმის დამტკიცება	984	
3	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირება,დამტკიცება, შესრულება და ანგარიშგება	3	მოკლევადიანი	I კვარტალი	ბიუჯეტის შედგენა. ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა. მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგვმა. შემოსავლების სრული ასახვა	984	
4	ფინანსური მართვა და ბუღალტრია	4	მოკლევადიანი	III კვარტალი	1.ბუღალტრული აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში. ფინანსური მენეჯმენტი.	1312	
5	მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება	3	მოკლევადიანი	III კვარტალი	1.ცვლილებები ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით, ზედამხედველობის განხორციელების ფორმები.	984	
6	მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზის მეთოდები და საშუალებები	2	მოკლევადიანი	II კვარტალი	1.სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი, სტატისტიკური ინფორმაციის შეკრება,	656	

					ინფორმაციის დამუშავება .		
7	საზოგადოებასთან ურთიერთობა	2	მოკლევ დიანი	I კვარტალ ო	1.მედიასთან ურთიერთობა, პიარი და მისი მართვა.	656	
8	ადამიანური რესურსების მართვა	2	მოკლევა დიანი	I კვარტალ ო	კადრების მოზიდვა კადრების შერჩევა, პირადი ინფორმაციის მართვა.	656	
9	სასამართლოში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობა	3	მოკლევა დიანი	II კვარტალ ო	სარჩელოს წარდგენა, შეგებებული სარჩელი, ადმინისტრაციუ ლი საჩივართან დაკავშირებით	984	
	სულ:	25				8200	